პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---დეკემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტერის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, უნივერსიტერის I შესახვევის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ვაკის რაიონში, უნივერსიტერის I შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


პეტრე ქავთარაძის ქუჩა
უნივერსიტეტის ქუჩა
1 : 25

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

მოქ. ფეჩხულიძე მაყვალ.

მცხ. თბილისში, ვ. ფშაველას
გამზ. 1/33 - №35 I სად. ბ.2.

ტელ. 544 272772

პ/ნ: № 01024025233

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ მე გახლავართ აწ გარდაცვლილი, ცნობილი მონაწილეობით ა.წ. „ვაკე ოლიმპი" ფეხბურთელი – „ნდობა" ფეჩხულიძის მეუღლე.

ფეხბურთელი ფეჩხულიძე ცნობილი დაიბადა თბილისში 1939წ. 18.05 – – გარდაიცვალა 2009. იგი 47 წელი ცხოვრობდა ვ-ფშაველას გამზირზე მდებარე №38 სახლის ბ. №29. მან შორის მდებარეობს რუსი მწერალი ქალის ა. ანტონოვსკაიას სახ. ქუჩასა და ვაჟა-ფშაველას გამზ. გადაკვეთაზე.

ჩვენ (მე, ჩემი ოჯახის წევრები და ყოფილი მეზობლები, ვ.ფშაველას №38 მცხოვრები მოსახლეობა) [illegible] გვაქვს გაგზავნილი თბილისის მერის კ.კალაძის სახელზე თხოვნით, რომ გადაერქვას ქუჩას (ა.ანტონოვსკაიას) ფეხბურთელი ფეჩხულიძის სახ. ქუჩა, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

[illegible] დამატებით [illegible] განცხადებით მივმართე თბილისის მერს კ.კალაძეს, საცხოვრებელი სახლის [illegible] მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა ქუჩის სახელის შეცვლის და მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.

29.06. 20[illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032433765**
თარიღი: **02/12/2024**

ადრესატი: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ასლი:

ადრესატი: საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404996126
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანი, №1

ადრესატი: საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი
მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 49ა

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში შემოსულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს; საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის; საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდისა და მოქ. მაყვალა უგრეხელიძის წერილები. წარმოდგენილი წერილებით მოთხოვნილია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთ-ერთი ქუჩისთვის კალათბურთელ ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭება.

კომისიის მიერ საკითხის განხილვა გაგრძელდა გარკვეული დროითი პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან არსებობდა კალათბურთელების სახელების მინიჭების ნაწილში ერთიანი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების საჭიროება. საკრებულოს მიერ, მიმდინარე წლის 22 ნოემბერს განხორციელდა ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელების მინიჭება და ამ ეტაპზე მიზანშეწონილია დაიწყოს ქუჩის შერჩევის პროცესი ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების მიზნით.

ვინაიდან ზემოთ ხსენებული უწყებების მიერ, წერილობითი მომართვებიდან გასულია არსებითი პერიოდი და განხორციელებულია გარკვეული სტრუქტურული თუ საკადრო ცვლილებები ცნობის სახით გიგზავნით ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების თხოვნით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში დღემდე შემოსულ კორესპონდენციებს და გთხოვთ, წერილობითი სახით გვაცნობოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულ სახელდებასთან დაკავშირებით.

დანართი: 7 (შვიდი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 9 19 01028450

შეტანილია

08/08/2019

ქ. თბილისის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემოსულია საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2019 წლის 7 აგვისტოს N651 წერილი, რომელიც ეხება შუამდგომლობის გაწევას ქ. თბილისის საკრებულოს წინაშე, ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის, ოლიმპიური თამაშების მე-2 პრიზიორის, ევროპის ჩემპიონის საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ოთხი ვერცხლის მედლის მფლობელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის ქ. თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული საკითხი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გოგოლაძე შალვა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია
0162 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა
ტელ.: (+995 32) 2 23 53 84
ფაქსი: (+995 32) 2 29 28 90
ელ-ფოსტა: basket@top.ge
www.gbf.ge

GEORGIAN BASKETBALL NATIONAL FEDERATION
49a. Chavchavadze av., Tbilisi 0162
Tel.: (+995 32) 2 23 53 84
Fax: (+995 32) 2 29 28 90
E-mail: basket@top.ge
www.gbf.ge

№ 651

07 08 2019 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

ბატონო მიხეილ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციაში საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის სახელით შემოვიდა წერილი თქვენდაში რწმუნებული სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის თხოვნით, რათა თქვენ მიმართოთ თბილისის საკრებულოს თხოვნით ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის, ოლიმპიური თამაშების მე-2 პრიზიორის, ევროპის ჩემპიონის საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოთხი ვერცხლის მედლის მფლობელი ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი მიენიჭოს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, რომელსაც 2019 წლის 18 აგვისტოს 80 წელი შეუსრულდებოდა.

წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: 3 გვერდი

პატივისცემით,

პრეზიდენტი [illegible]აჯტა გურასპაული

BASKETBALL FEDERATION OF GEORGIA
204851838

საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი

0162 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 29 03 14
ფაქსი: (+995 32) 2 29 28 90
ელ-ფოსტა: basket@gol.ge
www.gbf.ge

VETERAN BASKETBALL PLAYERS CARE FOUNDATION

49a Chavchavadze Ave, Tbilisi 0162
Tel: (+995 32) 2 29 03 14
Fax: (+995 32) 2 29 28 90
E-mail: basket@gol.ge
www.gbf.ge

№ 7

14. 06 2019 წ.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს

ბ-ნ პაატა გურასპაულს

ბატონო პაატა

საქართველოს ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის გამგეობის ა/წ 14 ივნისის № 2 სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, გთხოვთ შუამდგომლობას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მან მიმართოს ქ. თბილისის საკრებულოს თხოვნით, რომ ქართული კალათბურთის სიამაყის სახელოვანი ქართველი კალათბურთის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი მიენიჭოს ქ. თბილისში რომელიმე ქუჩას - სასურველი იქნებოდა ეს ქუჩა იყოს საბურთალოს რაიონში, ვლადიმერ უგრეხელიძის საცხოვრებელი სახლის (ანტონოვსკაიას ქუჩა) სიახლოვეს. ვლადიმერ უგრეხელიძეს („პტიცას") ა/წ 18 აგვისტოს შეუსრულდებოდა 80 წელი.

შეგახსენებთ ვლადიმერ უგრეხელიძის დამსახურებას ქართული კალათბურთის წინაშე: -ოლიმპიური თამაშების მე-2 პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოთხი ვერცხლის მედლის მფლობელი.

პატივისცემით,

ვეტერან კალათბურთელთა დახმარების

ფონდის პრეზიდენტი - [signature] ვ. ლომაძე

გამგეობის სხდომის ოქმი N 10

ქ. თბილისი 2019 წლის 6 აგვისტო

ესწრებოდნენ:

პ. გურასპაული, გ. ქართველიშვილი, მ. გაბრიჩიძე, ნ. ქორქია, გ. ბიჭიაშვილი, გ. სანაძე, ვ. ლომაძე, ლ. გამყრელიძე, ვ. ნაცვლიშვილი, დ. გიორგობიანი, გ. გაჩეჩილაძე, ლ. მგალობლიშვილი, ვ. ძიძიგური

სხდომის თავმჯდომარე: მიხეილ გაბრიჩიძე

დღის წესრიგი:

1. ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის შეკამდგომლობის თხოვნა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე, რათა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სახელოვანი ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი.
2. სხვადასხვა

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს:

სკეფ-ის გამგეობის თავმჯდომარის, მიხეილ გაბრიჩიძის ინფორმაცია ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის შუამდგომლობის თხოვნის შესახებ საქართველო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე, რათა მათ მიმართონ ქ.თბილისის საკრებულოს თხოვნით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს სახელოვანი ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი, რომელსაც 2019 წლის 18 აგვისტოს შეუსრულდებოდა 80 წელი.

გამგეობის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კენჭისყრის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, გაუწევს შუამდგომლობას ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე.

გამგეობის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

ვლადიმერ უგრეხელიძე

(1939-2009)

ქართველი კალათბურთველი ,სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი , ღირსების ორდენის კავალერი

1974 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1958-1974). სსრკ ნაკრების წევრი (1960–1965), რომის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1960),[2] მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1963), ევროპის ჩემპიონი (1961), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონი (1968). სსრკ ჩემპიონატის სამგზის მეორე (1960, 1961, 1969) და მესამე (1965) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1969). მაღალი ნახტომისა და ჰაერში შეყოვნების უნარის გამო მეტსახელად „პტიცა" შეარქვეს. თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის კამეგე (1997-იდან), დოცენტი, ღირსების ორდენის კავალერი